საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუწახტა

კუწახტა, სოფელი კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში (საკობიანოს თემი), პანკისის ხეობაში, მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 590 მ, ახმეტიდან 13 კმ. 81 მცხ. (2014).

სოფლის ჩრდ-ით, ტყიან ბორცვზე მდებარეობს შუა საუკუნეების ამაღლების ეკლესია (შემორჩენილია აფსიდის მცირე ნაწილი), ჩრდ.-დას-ით კი – ამავე პერიოდის მეორე დარბაზული ეკლესია. სოფლის შუაში გვიანდელი შუა საუკუნეების ლომისის სალოცავი დგას. ეკლესია უაფსიდოა, ნაგებია რიყის ქვით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2014.